

## **„სასულიერო პირისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, იქადაგოს ცხოვრებით და არა მხოლოდ სიტყვით“ - გადაცემა „უცნობი გმირები“**



ქვეყანოში მიქაელ ბუკია იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ონკოპემატოლოგიის განყოფილებას 2003 წლიდან მოყოლებული, 17 წელია, ყოველ კვირას სტუმრობს, ამხნეებს და ზრუნავს ბავშვებზე...

ეს ბავშვები ნამდვილად გმირები არიან. ერთია, რომ მათ საკუთარ ტკივილთან უწევთ გამკლავება და, მეორეა, რომ ფიქრობენ, სხვას გული არ ატკინონ, სხვა არ შეაწუხონ თავიანთი ტკივილით. ისინი ძალიან დიდი ადამიანები არიან, დიდები არიან თავიანთი შინაგანი სამყაროთი...

უნამ ცოცხალი ვიქნები, ალბათ იქიდან ვერ წამოვალ, მიჭირს, მაგრამ... ამ ბავშვების გამო ხალათს კი არა, რკინის აბჯარს ჩავიცვამ... იქ რომ შეხვალ, მათ მოლიმარ სახეებს დაინახავ. ეს მოლიმარი სახე შეიძლება იყოს თეთრად გათენებული ღამის შემდგომ, რადგან ტკივილისგან შეიძლება მთელი ღამე არ ეძინა, ან შეიძლება იმ წუთასაც სტკივა, მაგრამ როგორც კი დაძინახავენ, თვალები უნათდებათ... ამ ყველაფერს საკუთარ თავთან მართლ დარჩენილი გონებაში რომ გადახარშავ, უბრალოდ, ეს იქნება

ღალატი, რომ იქ მეორედ არ მიხვიდე...

☒ სულიერო პირობა – ეს არის მსახურება, ყველას მსახური უნდა იყო, არ აქვს მნიშვნელობა არც სარწმუნოებრივ და არც სოციალურ მდგომარეობას...”

☒. ამ ყველაფრის ძალაც და, გარკვეულწილად, გზამკვლევიც ოჯახია, მამა მიქაელს 6 შვილი ჰყავს: „ოჯახი ჩემთვის არის, რომ იტყვიან, საფიცარი ხატი, იმის საშუალებას არ მაძლევს, რომ უკან დავიხიო, ჩავიმუხლო, იმიტომ რომ შენ უკან დგანან ადამიანები, რომელთაც შენზე აქვთ სწორება, შესაბამისად, ისე უნდა იცხოვრო, რომ მათთვის მაგალითი იყო“.

→ გადაცემის

სრული

ვერსია:

<https://www.facebook.com/ucnobigmirebi/videos/593607448228640/?v=593607448228640>

— [facebook.com/sazupatriarchate](https://www.facebook.com/sazupatriarchate)